



ლაგოდეხის მუნიციპალიტეტის მერის
ბ რ ძ ა ნ ე ბ ა



ბრძანება:ბ92.92221529

თარიღი:01/06/2022

ლაგოდეხის მუნიციპალიტეტის მერის 2022 წლის 01 მარტის "ლაგოდეხის მუნიციპალიტეტის 2023-2026 წლის პრიორიტეტების დოკუმენტის მომზადების თაობაზე" N ბ92.92220607 ბრძანების დანართი N1-ში ცვლილების განხორციელების შესახებ

საქართველოს ორგანული კანონის „ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსის“ 54-ე მუხლის პირველი ნაწილის "ე" პუნქტის, „ე.ე“ ქვეპუნქტისა და საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 63-ე მუხლის შესაბამისად

ვ ბ რ ძ ა ნ ე ბ ა:

მუხლი1.შევიდეს ცვლილება ლაგოდეხის მუნიციპალიტეტის მერის 2022 წლის 01 მარტის "ლაგოდეხის მუნიციპალიტეტის 2023-2026 წლის პრიორიტეტების დოკუმენტის მომზადების თაობაზე" N ბ92.92220607 ბრძანების პირველი მუხლის "ა" პუნქტით დამტკიცებულ დანართი N1-ში და ჩამოყალიბდეს ახალი თანდართული დანართის შესაბამისად.

მუხლი2.კონტროლი ბრძანების შესრულებაზე დაევალოს ლაგოდეხის მუნიციპალიტეტის მერიის „საფინანსო სამსახურის" უფროსს გიორგი მანგოშვილს.

მუხლი3.ბრძანება ძალაში შედის გამოქვეყნებისთანავე.

მუხლი4.ბრძანების გასაჩივრება შესაძლებელია გაცნობიდან ერთი თვის განმავლობაში გურჯაანის რაიონულ სასამართლოში მისამართზე: ქ. გურჯაანი, სანაპიროს ქ. N24.

ჯონდო მდივნიშვილი

ლაგოდეხის მუნიციპალიტეტის მერია-მერი

გამოყენებულია კვალიფიციური
ელექტრონული ხელმოწერა/
ელექტრონული შტამპი

